

თავი IV

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2014 წლის 9 თვის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა (-181 852.0) ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 414 348.4 ათასი ლარის ოდენობით.
2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 484 201.5 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	2014 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა	2014 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება
	193,327.5	484,201.5
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	338,740.3*
სესხები	95,131.3	63,249.2
აქციები და სხვა კაპიტალი	98,196.2	82,212.0

*ვალუტა და დეპოზიტებში 338 740.3 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 287 146.2 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2014 წლის 1 სექტემბრისათვის განისაზღვრა 625 886.6 ათასი ლარით.

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 69 853.1 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	2014 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა	2014 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება
	258,992.3	69,853.1
ვალუტა და დეპოზიტები	209,892.3	17,039.8**
სესხები	49,100.0	52,810.2
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	3.1

**ვალუტა და დეპოზიტებში ასახული 17 039.8 ათასი ლარი წარმოადგენს წინა წლების გამოუყენებელი სახსრების დაბრუნებას და ხაზინის ანგარიშებზე აღრიცხულ სხვა თანხებს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 596 200.4 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1 023 094.0 ათასი ლარი, მათ შორის:

- 503 651.1 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 264 754.6 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები;
- 254 688.2 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 0.1 ათასი ლარი - ხაზინის ერთიან ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხა (აღნიშნული თანხა დონორი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში დაკორექტირდება და აისახება შესაბამის ანგარიშზე);

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	2014 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა	2014 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება
	1,119,167.0	1,023,094.0
საშინაო	490,000.0	503,651.1
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	490,000.0	503,651.1
საგარეო	629,167.0	519,442.9
სესხები	629,167.0	519,442.8
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.1

ათას ლარებში

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
ბიუჯეტის მხარდამჭერის კრედიტები	264,754.6
WB	159,841.7
IMF	104,912.9
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	254,688.2
IFAD	6,753.5
WB	64,653.9
EBRD	21,209.9
ADB	84,834.4
EIB	15,117.2
იაპონია	52,440.9
გერმანია	9,678.4
სულ კრედიტები	519,442.8

2014 წლის 9 თვეში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 30 აუქციონი, რომლებზეც რეალიზებული იყო სახაზინო ვალდებულება და სახაზინო ობლიგაცია 793 490.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულებით, საიდანაც 45.3% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 32.9% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 18.0% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 3.8% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით ბიუჯეტში მიღებულმა თანხამ შეადგინა 774 169.6 ათასი ლარი, დისკონტის თანხამ 20 503.2 ათასი ლარი, ხოლო ნომინალს ზევით გადახდილმა თანხამ 1 182.7 ათასი ლარი. ამავე პერიოდში დაფარულ იქნა 275 000.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და ობლიგაციები, მათ შორის ძირითადი თანხის დაფარვამ შეადგინა 269 335.8 ათასი ლარი, ხოლო დისკონტის თანხამ 5 664.2 ათასი ლარი. 2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდამ ძირითადი თანხის მიხედვით შეადგინა 503 651.1 ათასი ლარი, რაც დაგეგმილთან შედარებით 102.8 %-ს შეადგენს. აღნიშნული გამოწვეული იყო ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისთვის 2014 წლის IV კვარტალში დაგეგმილი ემისიის III კვარტალში განხორციელებით.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N176 განკარგულებით განისაზღვრა ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესი. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისთვის 2014 წელს დაგეგმილი 200 მლნ ლარის ემისიიდან, საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 172 835.1 ათასი ლარი შეადგინა. ეს თანხა სრულად განთავსდა ვადიანი დეპოზიტის სახით, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში, ფასიანი ქაღალდების ვადიანობის შესაბამისად, კუპონის განაკვეთს დამატებული 1 საპროცენტო პუნქტი.

2014 წლის 9 თვეში გამოშვებული და დაფარული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები

ათას ლარებში

თვე	ფასიანი ქაღალდების ემისია		ფასიანი ქაღალდების დაფარვა (ნომინალით)	ვალდებულებების წმინდა ზრდა (ნომინალით)	ვალდებულებების წმინდა ზრდა (ძირითადი თანხით)
	მთლიანად	მ. შ. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფისათვის			
იანვარი	124,500.0		85,000.0	39,500.0	36,325.6
თებერვალი	106,567.0	43,917.0	0.0	106,567.0	104,773.9
მარტი	107,417.0	43,917.0	20,000.0	87,417.0	86,691.3
აპრილი	95,000.0		60,000.0	35,000.0	31,192.3
მაისი	60,000.0		25,000.0	35,000.0	34,426.1
ივნისი	55,000.0		0.0	55,000.0	53,287.1
ივლისი	131,087.0	41,087.0	65,000.0	66,087.0	63,824.7
აგვისტო	73,919.0	43,919.0	0.0	73,919.0	73,353.8
სექტემბერი	40,000.0		20,000.0	20,000.0	19,776.2
სულ	793,490.0	172,840.0	275,000.0	518,490.0	503,651.1

3. ვალდებულებების კლება 426 893.5 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	2014 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა	2014 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება
		447,518.9
საშინაო	53,747.2	43,618.3
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	26,000.0	26,000.0
სესხები	1,236.6	903.2
სხვა კრედიტორული დავალიანებები	26,510.6	16,715.0
საგარეო	393,771.7	383,275.3
სესხები	390,005.7	379,515.4
სხვა კრედიტორული დავალიანებები	3,766.0	3,759.9

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალმა შეადგინა 9 649.2 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ სახელმწიფო საშინაო ვალის მთლიანი მოცულობა შეადგენს 2 509.7 მლნ ლარს, მათ შორის: ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სეზ-ისთვის“) – 440.8 მლნ ლარი, სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) - 141.0 მლნ ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 384.2 მლნ ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 871.3 მლნ ლარი, სხვა სავალო ვალდებულებები (ისტორიული ვალი) - 672.3 მლნ ლარი;
- ✓ სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 7 139.5 მლნ ლარი.

ათას ლარებში

კრედიტორი	საგარეო ვალის მოცულობა 2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით
სულ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი	7,139,546.2
საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი	7,055,888.2
მრავალმხრივი კრედიტორები	4,835,705.5
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	2,310,778.7
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	830,292.2
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	51,612.3
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	262,795.1
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	178,547.0

კრედიტორი	საგარეო ვალის მოცულობა 2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	862,355.6
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	339,324.7
ორმხრივი კრედიტორები	1,339,208.1
ავსტრია	24,301.8
აზერბაიჯანი	20,347.1
თურქმენეთი	369.9
თურქეთი	38,899.6
ირანი	15,881.4
რუსეთი	167,001.1
სომხეთი	24,079.8
უზბეკეთი	493.3
უკრაინა	450.5
ყაზახეთი	48,671.2
ჩინეთი	6,836.6
გერმანია	556,097.6
იაპონია	233,545.0
კუვეიტი	33,967.4
ნიდერლანდები	3,033.1
ამერიკა	53,449.2
საფრანგეთი	111,783.6
ფასიანი ქაღალდები	876,200.0
ევროობლიგაცია	876,200.0
გარანტირებული კრედიტები	4,774.6
გერმანია	4,774.6
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	83,658.0
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	83,658.0